



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY
ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭო

სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე, პროფესორი მაკა კაჭარავა, პროფესორი მანანა პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი კახა კვაშილავა, ასოცირებული პროფესორი ირმა ზაქარაია, სტუდენტები: გვანცა ქართველიშვილი, მარიამ გოგილავა, მარიამ ნოდია, მარიამ გოიაევა.

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი მაკა კაჭარავა

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

საქართველოს მოქალაქის, ლეილა მამედოვას, თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს:

თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის პროფესორის მაკა კაჭარავას ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლეილა მამედოვა არის საქართველოს მოქალაქე, მან 2015 წელს დაასრულა სრული საშუალო განათლება ბელაქანის რაიონის სოფელ მაჰამალარის ნ. ნარიმანოვის სახელობის სრულ საშუალო სკოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 16 დეკემბრის №1300 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე ლეილა მამედოვა ჩარიცხება თჰუ-ში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი.ჯობავამ, ვ.საყვარელიძემ.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. ლეილა მამედოვას მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თჰუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი:



/მ.კაჭარავა/

/გ.გრიგორიანი/